

ნანა ლუხუთაშვილი

ქუთაისის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი
მაკა ლუხუთაშვილი

ქუთაისის უნივერსიტეტის მასწავლებელი

**მსოფლიო სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების
ძირითადი ეტაპები და სასტუმროთა კლასიფიკაცია**

სასტუმრო ინდუსტრიას ხანგრძლივი ისტორია აქვს. სხვადასხვა დროს, სხვადასხვა გარემო პირობებში აკმაყოფილებდა რა მომხმარებელთა მოთხოვნებს, იგი განიცდიდა სახეცვლილებას.

პირველი სასტუმროები (ქარავანი-ფარდული), ისევე როგორც მოგზაური ადამიანების მომსახურების პროფესია, წარმოიშვა შორეულ წარსულში, ძველ აღმოსავლეთში ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2 ათასი წლის წინ. ძველ საბერძნეთსა და განსაკუთრებით ძველ რომში კპოვეს განვითარება ქარვასლებმა.

ქარვასლა, “ქარავან სრა” წარმოსდგება სპარსული სიტყვისაგან „ქარავანსარი“ რაც ქართულად ფუნდუკს, გზისპირა სასტუმროს ნიშნავს. ქარვასლა, ქარავანის სადგომი ასრულებდა სასტუმროსა და საწყობის ფუნქციას, სადაც ინახებოდა ვაჭრის საქონელი. ქარვასლა უძველესი დროიდან არსებობდა ყველა აღმოსავლურ ქვეყანაში და მაშინდელ ამიერკავკასიასა და საქართველოშიც. ჩვეულებრივ ამაგრებდნენ თავდაცვითი ნაგებობებით და მიერთებული იყო რაბათებთან და ხანაგასთან. ხანაგა იგივე ხანაკა, (სპარს. ხანე-სახლი, და გაჰ-ადგილი) თავშესაფარის ტიპის მუსლიმანური საკულტო ნაგებობა მწირთათვის, წარმოადგენდა კომპლექსურ ნაგებობას, სადაც ცენტრალურ გუმბათოვანი დარბაზის ირგვლივ თავმოყრილი იყო ნაგებობები, რომელთა ფორმა და კომპოზიცია შეესატყვისებოდა მოცემული ადგილისა და ეპოქის არქიტექტურულ თავისებურებებს, მაგალითად ფაიზაბადის ხანაგა ქალაქ ბუხარაში, 1598-99 წლები.

მ ა ნ ა ლ უ ხ უ თ ა შ ვ ი ლ ი
ქ უ თ ა ი ს ი ს უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი ს
ა ს ი ს ტ ე ნ ტ - პ რ ო ფ ე ს ო რ ი
მ ა კ ა ლ უ ხ უ თ ა შ ვ ი ლ ი

ქარვასლას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სატრანზიტო-საქარავნო ვაჭრობაში. ტერმინი “ქარვასლა”, საქართველოში გაბატონდა უკვე 17-18 საუკუნეებში. უფრო ადრე სასტუმრო სახლის აღმნიშვნელ ტერმინად იხმარებოდა ფუნდუკი. შენდებოდა 2, 3 და 4 სართულიანი ქარვასლები.

ქარვასლას პირველ სართულზე განთავსებული იყო ტავერნა, სავაჭრო დუქნები, ზედა სართულებზე საძინებლები, საცხოვრებელი ოთახები. ქარვასლა ასევე აღჭურვილი იყო საქონლის შესანახი სარდაფებით, საჯინბოებითა და ეზოებით პირუტყვის გასაჩერებლად. შუა საუკუნეებში მოგზაურების მომსახურების ამ ძირითად კომპლექსს შეემატა კიდევ ღია და დახურული გალერეები, სადაც ეწყობოდა თეატრალიზირებული წარმოდგენები.

მე-19-ე საუკუნეში თბილისში 13 დიდი ქარვასლა იყო. თბილისურ ქარვასლებში ინახებოდა და მერე ნაწილდებოდა მოელს ამიერკავკასიაში უცხოეთიდან შემოტანილი საქონელი. ქარვასლაში განჩერებული ვაჭარი იხდიდა ბაჟს-საქონლის ფასის 1/4-ს. გარდა სავაჭრო ოპერაციებისა, აქ ხიდებოდა სავაჭრო გარიგებები, დგებოდა კომერციული ხასიათის საქმეები და სხვა.

საქართველოში შემორჩენილ ქარვასლათაგან უძველესია ე.წ. არწრუნის ქარვასლა (სიონის ქ. N8). ამ ადგილას პირველი ქარვასლა ჯერ კიდევ როსტომ მეფემ ააშენა 1650 წელს და მოგვიანებით თბილელ ეპისკოპოსს უბოძა. 1795 წელს ალა მაჰმად ხანის შემოსევისას დანგრეული შენობის ადგილას XIX საუკუნის I ნახევარში ძველი საძირკვლის გამოყენებით არწრუნის ქარვასლა აშენდა. 1855 წელს მომხდარი ხანძრის შემდეგ ნაგებობა გადააკეთეს. ქარვასლამ თავდაპირველი ფუნქცია 1920-იან წლებამდე შეინარჩუნა.

1884 წელს ნაგებობის ადაპტაცია-რესტავრაციის შედეგად (არქ. გ. ბათიაშვილი) ქარვასლის გახსნილი შიდა ეზო ცილინდრული კამარით გადაიხურა. 1985 წლიდან აქ საქართველოს ეროვნული მუზეუმის იოსებ

ერიშაშვილის სახ. თბილისის ისტორიის მუზეუმი.

ცხადია, რომ ჯერ კიდევ მაშინ არსებობდა მოგზაურებისათვის სხვა სახის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაწევის პრაქტიკა ამ დაწესებულებების მფლობელების, მისი ოჯახის წევრების, მსახურებისა და წვრილი ხელოსნების მხრიდან. ამგვარი სასტუმროები ჯერ კიდევ მაშინ წარმოადგენდნენ ტურისტული კომპლექსის პირველ წყაროს, იმ დროისათვის შესატყვისი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მომსახურების გაწევით.

სამრეწველო რეკლამაციის შემდეგ, მე-18 საუკუნის ბოლოსა და განსაკუთრებით მე-19 საუკუნეში ორთქმავლებისა და გადამზიდვების, სარკინიგზო გზების, დიდი ოდენობით შექმნილი ადამიანების გამაჩენით, ასევე მასობრივი ტურიზმის განვითარებით სასტუმრო მეურნეობებში შეიმჩნევა არსებითი ცვლილება. მსოფლიო სასტუმრო ინდუსტრიის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდის წინამძღვრებს წარმოადგენს ისეთი ფაქტორები, როგორცაა:

- სოფლებიდან მშენებარე ქალაქებში მკვეთრად გაზრდილი მიგრანტების ნაკადი;
- საცხოვრებლად საზღვარგარეთ წასულ და რამდენიმე ხნის შემდეგ მშობლიური ადგილების მოსანახულებლად ჩამოსულ მოგზაურთა ნოსტალგიური ნაკადი;
- საქმიანი ადამიანები, ახალი ვაჭრები, ახალი მრეწველები, რომელთაც სურთ ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეების წარმოებაში დასანერგად გამოცდილების შექმნა;
- მოსახლეობის მკვეთრი ზრდა.

ამის შემდგომ პირველ ათწლეულში (1945-1955 წლებში) საავტომობილო და საავიაციო ინდუსტრიის განვითარებამ გამოიწვია სასტუმროთა ბუმი მთელს მსოფლიოში. ამ პერიოდში სასტუმრო ბაზა გვევლინება როგორც ტურისტის, სტუმრის, მოგზაურთა და დამსვენებელთათვის გაწეული მომსახურების სრული ნაკრები, რომელშიც შედის ადგილების მიხედვით განთავსება, კვება, გართობა, ნადირობა და ა.შ.

არსებობს **მიზნობრივი დანიშნულების სასტუმროები** (სასტუმროები ავტოსტრადებზე; სარკინიგზო სადგურებზე; აეროპორტებთან; დიდი ქალაქების სავაჭრო, ადმინისტრაციულ ცენტრებში საქმიანი ადამიანებისა და ბიზნესმენთათვის არსებული სასტუმროები; საკურორტო სასტუმროები და პანსიონები; კონგრესის ოტელები და კონგრესის ცენტრები; ოტელი “ლუქსი” და აპარტამენტები; სასტუმრო-კაზინოები; მოძრავი სასტუმროები და კემპინგები; ახალგაზრდული სასტუმროები, მონადირეთა სახლი და ა.შ.).

სასტუმროთა კლასიფიკაციის ამოცანა საკმაოდ შრომატევადია მათი მრავალგვარობის გამო, რაც თავის მხრივ განპირობებულია ტურიზმისა და მოგზაურობის მრავალსახეობით, მოგზაურობის მოტივის სხვადასხვაობით, მოგზაურთა მატერიალური მდგომარეობის არსებითი სხვაობით, ასევე ნაციონალური, გეოგრაფიული, ბუნებრივი და სხვა განსაკუთრებულობების არსებობით.

სასტუმროებს განასხვავებენ **ზომების (ტევადობის) მიხედვით**.

სასტუმროთა ტევადობა განისაზღვრება სასტუმროს ნომერთა ან ადგილთა რაოდენობით, სტატისტიკურ მონაცემებში ხშირად მოიყვანება ორივე ეს პარამეტრი. ნომრების რაოდენობის მიხედვით სასტუმროები ჩვეულებრივ იყოფა 4 კატეგორიად:

1. მცირე (100-150 ნომრამდე);
2. საშუალო (100 დან 300-400 ნომრამდე);
3. დიდი (300დან 600-1000 ნომრამდე);
4. გიგანტები (1000 ნომერზე მეტი).

სასტუმროების კლასიფიკაცია ზომების მიხედვით საშუალებას გვაძლევს შევადაროთ მათი საწარმოო საქმიანობის შედეგები. გარდა ამისა, სასტუმროს ზომები როგორც წესი, მეტყველებს სერვისის ხარისხსა და სისრულეზე (დამატებითი მომსახურების მოცულობასა და ხარისხზე), ასევე ირიბად ახასიათებს სხვა პარამეტრებსაც.

მიზნობრივი ბაზრების მიხედვით სასტუმროები კლასიფიცირდება:

1. სასტუმროები ტურისტებისათვის, რომელთა მოგზაურობის ძირითად მიზანს და მოტივს წარმოა-

დგენს პროფესიული საქმიანობა (ბიზნესი, კომერცია, შეხვედრები, თათბირები, სიმპოზიუმები, კონფერენციები, კონგრესები, გამოცდილების გაცვლა, სწავლება, პროფესიული გამოფენები, პროდუქციის პრეზენტაციები და ა.შ.). საქმიანი დანიშნულების სასტუმროების კატეგორიას მიეკუთვნება: ბიზნეს-ოტელები (კომერციული ოტელები), კონგრეს-ოტელები, კონგრეს-ცენტრები, პროფესიული კლუბ-ოტელები და უწყებრივი ოტელები.

2. სასტუმროები ტურისტებისათვის, რომელთა მოგზაურობის ძირითად მიზანს და მოტივს წარმოადგენს დასვენება (პასიური, აქტიური, კომბინირებული) და მკურნალობა (პროფილაქტიკური, აღდგენითი):

საკურორტო სასტუმროები;

პანსიონატები და დასასვენებელი სახლები (სტაციონარული პასიური დასვენებისათვის);

ტურისტულ-საექსკურსიო სასტუმროები (ტურკომპლექსები);

კაზინო-ოტელები (სასტუმროები აზარტული თამაშების მოყვარულთათვის);

სპეციალიზირებული (ტურისტთა პირადი სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების სისტემა, თვითმომსახურება).

3. ტრანზიტული სასტუმროები (ტურკომპლექსები):

ავიატრასებზე (აეროპორტებთან არსებული სასტუმროები);

ავტოტრასებზე (მოტელები);

სარკინიგზო ტრასებზე (ვაგზალთან არსებული სასტუმროები);

წყლის ტრასებზე (ნავსადგურებთან განლაგებული ოტელები);

4. სასტუმროები მუდმივ საცხოვრებლად

საკუთრების ფორმების მიხედვით: კონდომინიუმები და ტაიმშერული სასტუმროები.

კონდომინიუმები-სასტუმრო კომპლექსია, რომელშიც შენობები და სანომრო ფონდი გაყიდულია ინდივიდუალურ მფლობელებზე, რომლებიც ან ცხოვრობენ, ან არენდით აქვთ გაცემული ეს შენობები დამსვენებლებზე.

კონდომინიუმებისაგან განსხვავებით ტაიმშერულ ოტელებში გაიცემა გრძელვადიანი უფლება დასვენებაზე ოტელში ან ოტელთა ჯაჭვში. აღნიშნულ კლასში სასტუმროები შეიძლება დაყოფილ იქნას მუნიციპალურ, კერძო, უწყებრივ, შერეული საკუთრების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ასევე სასტუმროები უცხოური კაპიტალის მონაწილეობით.

სერვისის (მომსახურების) დონის, ასორტიმენტისა და მომსახურების ღირებულების მიხედვით ოტელები შეიძლება იყოს: “ლუქსის” კლასი, პირველი კლასი, ეკონომკლასი, ოტელები შეხლულული სერვისით (დამის გასათევით და საუზმით), ასევე სტუდენტური საერთო საცხოვრებელის ტიპის იაფი სასტუმროები.

განთავსების ადგილის მიხედვით-საქალაქო (ცენტრალური, განაპირა), ტრანზიტული (მაგისტრალბოთ-ან), ქალაქგარეთ, ასევე სოფლის ოტელები, რომლებიც განლაგებულია გეოგრაფიული განსაკუთრებული მდინარის პირას, ზღვასთან, ოკეანესთან, მთებში და ა.შ.) ახლოს.

განლაგება **ბუნებრივი ზონების მიხედვით** (ტყეში, მთებში, უდაბნოებში და ა.შ.).

ფუნქციონირება **დროის მიხედვით**-სეზონური და მთელი წლის განმავლობაში.

მსოფლიოში არსებობს სასტუმროთა კლასიფიკაციის 30-ზე მეტი სისტემა, ამასთან, ყველა ქვეყანაში მიღებულია კლასიფიკაციის ეროვნული სტანდარტები. კლიმატური, კულტურული, სოციალური და საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა დონისა და კომფორტის ცნებისადმი განსხვავებული მიდგომის გამო, მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ შეუძლებლად მიიჩნია სასტუმროების კლასიფიკაციის უნიფიცირებული სისტემის მიღება.

მსოფლიოში სასტუმროების კლასიფიკაციის ეროვნული სისტემიდან შეიძლება გამოიყოს: “ევროპული ტიპი”, რომლის საფუძვლადაც აღებულია ფრანგული ეროვნული სისტემა და ინდური ეროვნული სისტემა. უკანასკნელი ძირითადად გავრცელებულია აზიასა და აფრიკის განვითარებად ქვეყნებში.

ფრანგული სისტემით, სასტუმროთა კომფორტულობა განისაზღვრება **ვარსკვლავთა რაოდენობით**

(ერთიდან-ხუთამდე), რომელთა რიცხვის ზრდა შეესაბამება მომსახურებისა და დონის ზრდას. იმავდროულად, დასავლეთ ევროპის ყოველ ქვეყანაში “ვარსკვლავებს” საგანგებო მნიშვნელობა აქვს. ვარსკვლავთა ერთი და იმავე რაოდენობის მქონე სასტუმროები საფრანგეთსა და დანიაში შეიძლება ერთმანეთისაგან განსხვავდებოდეს (ხანდახან არსებითადაც) მომსახურების დონის მიხედვით. ამიტომ, ვარსკვლავთა რაოდენობის დადგენასთან ერთად სასტუმრო გამოსცემს კატალოგს, რომელშიც მითითებულია მომსახურებათა კომპლექსი და მისი ფასები.

კატეგორია-1 ვარსკვლავი-ყველაზე დაბალი მოტელებისა და სასტუმროებისთვის გამოიყენება.

კატეგორია- 5 ვარსკვლავით სასტუმროებისათვის დამახასიათებელია მაღალი დონისა და მრავალფეროვანი მომსახურება (შეუზღუდავი სახეობითა და რაოდენობით), კვალიფიციური პერსონალი ელევანტური უნიფორმით.

საბერძნეთში გამოიყენება **ასოთა სისტემა**, რომლის თანახმადაც სასტუმროები იყოფა 4 კატეგორიად A, B, C, D უმაღლესი კატეგორიაა de luxe. თუ შევადარებთ ხუთვარსკვლავიან შეფასებას de luxe-ი შეესაბამება ხუთვარსკვლავიან სასტუმროს, A-კატეგორიის სასტუმრო ოთხვარსკვლავიანს, B—სამ-ვარსკვლავიანს, C-ორვარსკვლავიანს, ხოლო D-ერთვარსკვლავიან სასტუმროს დონეს.

ინგლისში კი მიღებულია **გვირგვინისა და გასაღებთა სისტემა**. იმისათვის, რომ ანალოგიური სასტუმროს კატეგორია შევადაროთ ევროპულ ვარსკვლავთა სისტემის ანალოგიურ კატეგორიას, მას უნდა გამოვაკლოთ ერთი გვირგვინი, შესაბამისად, გვირგვინი ერთი კატეგორიით მეტია ვარსკვლავზე.

სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების ტენდენცია მიმართულია სხვადასხვა დანიშნულების სასტუმროებში მომსახურების სპექტრის გასაფართოებლად.

სასტუმროები გვევლინებიან პიონერებად ტექნიკის უახლესი მიღწევების-ახალი მასალების (ეკოლოგიურად სუფთა, ხანძარსაწინააღმდეგო, ცვეთამდევი და ა.შ.), მოწინავე ტექნოლოგიების, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების (კომპიუტერული სისტემები და ქსელები ადგილების დაჯავშნისა და რეზერვირების) დანერგვაში. თანამედროვე სასტუმრო ბაზა ხდება ტურისტული ინდუსტრიის-21-ე საუკუნის ინდუსტრიის საფუძველი.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. ლუხუტაშვილი ნ., ჯულაყიძე ე., “ტურიზმის მენეჯმენტი”, ქუთაისის საგამომცემლო ცენტრი 2009.
2. მეტრეველი მ., “ტურიზმის ბიზნესი”, თბ., 2011.
3. Квартальнов В. А. Туризм: Учебник. -М.: Финансы и статистика, 2000.